

# სიყნოსი



1  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გამოსვლის, 55-ე წელი, (№ 1515) იანვარი, 1978, ფასი 20 კაპიკი.



ნახ. ზ. ფორმინიძისა

— ამათ რომ გათვრება ჰქონდეთ, მე რა წამიყვანდა თბილ ყვევ.  
წაგზი!



ჩამო ნიან გო! საავადმყოფო კი გვაქვს, მაგრამ უნდა გვქონდეს, რომ ავადმყოფი ურმით მაინც ჩავაპტიკინოთ სასაქონლო-საქონლო

ამბროლაური, სოფალი თხმორი

\*\*\*

ძვირფასო ნი ან გო! მოგეხსენებათ, რადიო დღეს სამყაროს საოცრებად არ ითვლება, არც ის ითვლება საოცრებად, რადიოები რომ არ მუშაობენ. საოცრება ისაა, რომ ჩვენმა რადიოსტატებმა ვერ გამოახეს ისეთი საშუალება, რომელიც საშუალებას არ მისცემს ნიავეარსაც კი, ხმა ჩააკენდინოს ჩვენს რადიოებს!

თბილისი, ჩხიკვაძის ქ. № 5-ის მცხოვრებანი

\*\*\*

ჟოვლისუმიღლე. ნი ან გო! ამბობენ, ნალი ბედნიერების სიმბოლოა. ოჯგერ უფრო ბედნიერია ადამიანი, რომელსაც ნალი კარებზე მისაჭედებლად გააჩნია და ცხენის დასაჭედლად. ჩვენ კი არც ერთისთვის არ გვაქვს.

დუშეთი, სოფალი სოხრი, შინვალის მომხმარებელთა საოგალოების თანამოგრომლები

\*\*\*

ნიანგო! შენ თ ან ჩამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ფეხსაცმელებმა, რომელიც ამ მიზნით შევიძინე, იმხელაზე დააფრინა პირი, რომ შენც კი შეგეშინდება! ახლა ისლა დამარჩენია, ჩემს მაგივრად, ფეხსაცმელები გამოგიგზავნო, იქნებ, როგორმე, ფაბრიკა „ისანთან“ მიშუამდგომლო, უკეთესში შემიცვალოს.

ცაგარი, სოფ. ლახურა

\*\*\*

პატივცემულო ნი ან გო! გიგზავნით რაციონალიზატორულ წინადადებას: რადგან სასმელ წყალს ონკანებში ხშირად მოპყვება ქვიშა, სილა და ხრეში, ვთხოვლობთ ცემენტს, რადგან აღნიშნულ თხევად ნარევეს გამოვიყენებთ სამშენებლო მასალად.

დიდის მასივი, მესამე კვარტალი

### საქეჩრო ლექსიქონი

მომხმარებელი — მყიდველი, რომელიც ეხმარება გამყიდველს, როცა უკანასკნელი ეჩხუბება მეორე მყიდველს.

ცალობით ვაჭრობა — ცალ-ცალი ფეხსაცმლის გაყიდვა.

საკუთარი მუშტარი — მყიდველი, რომელმაც ზუსტად იცის გამყიდველის მიერ „დაკანონებული“ ფასები.

გადამყიდველი — სინდისიდან გადამდგარი მყიდველი.

გამყიდველის თითი — საწონის შემცვლელია, თუმცა მისი წონა ჭერჯერობით დაუზუსტებელია.

დეფიციტური საქონელი — სინათლეს ვერ იტანს, უგზოუკვლოდ ქრება.

დანლი — დანლი და სახლი სხვადასხვაა. ამიტომ თუ ხარ დანლში, ყველაფერი არ უნდა წაილო სახლში, რადგან თუ გამოგაბრძანეს დანლიდან, მოგატანინებენ სახლიდან.

გიგლა ბახტაძე

### ალეკანს რომ ნაჟიღა

ექსტრა მარის დავებდ, შევაჯერე ქვეყანა, გრამიც ვერხად ვიშოვე, გულზე შემომეყარა.

გებვეწებით, მიჩრით, ძლიერ ვიშოვო სიშორით, ალევანს რომ წავიღე, იქ თუ მაინც ვიშოვი!

ვალერიან მოსაზვილი



მეამბროლაური პ. ფირცხანაშვილი

კამარჯვების საფეხური არსებობდა კიდევ განა? გვეავს ჭადრაკის დედოფლებად მანია და ორი ნანა. დაილოცოს ქართულის დედა, ვინც უმღერა იმათ ნანს! ვამუობთ და გვიხარია — გავხდით მათი ნიჭის მონა... დაე, მამულს ჰყოლებოდეს ერთის ნაცვლად ოთხი ნონა!

### ადამიანი

ქალკლდე თ ქვა: უჩემოდ წიგნი ვერ გამოვა, მე ვარ მთავარი.

შრიფტი მა მიუგო: მე რომ არ ვიყო, შენ ცარიელი ქალკლდე დარჩებოდი.

საღებავმა ჩაილაპარაკა: მე არ გეცხო, ნახავდი, რა შრიფტიც დააჩნდებოდი ქალკლდს.

აზრმა სამივე გააჩუმა: უჩემოდ არც საღებავი, არც შრიფტი და არც ქალკლდე არავის უნდა.

ადამიანს გაეცინა: ყველანი ჩემი მოგონილი ხართ და მე აღარაფერს მეკითხებითო?!

### გაუმარჯოს კრიტიკას!

ახალმა უფროსმა ისეთი სიტყვა წარმოთქვა კრებაზე, სულ ბდღვირი ადინა ძველი უფროსის ჩაოხრებულ საქმეებს. თვითონ ძველი უფროსი და მისი დამქაშები ხომ მთლად მიწასთან გაასწორა.

ეს მოხდა გუშინ, № 1 სამმართველოში.

გუშინვე, კრებაზე № 2 სამმართველოს ახალმა უფროსმა ძველი უფროსის ბნელი საქმეები საჯაროდ გამოამხეურა, ხოლო ძველი უფროსი, თავისი ამფსონებით, სულ ქვესკნელში ჩააძვრინა.

ჭემმარტივად დიდი არის კრიტიკის ძალა, მით უფრო, როცა გუშინდლამდე № 1 სამმართველოს ახალი უფროსი № 2 სამმართველოს ძველი უფროსი გახლდათ, ხოლო № 2 სამმართველოს ახალი უფროსი № 1 სამმართველოს ძველ უფროსად ბრძანდებოდა.

ფურკა რატიანი

# საახალწლო ბარათი უორკულ ნაცნობებს

ეროვნული  
კულტურის

სალამი, ძუკუ! — უფროსო რაღაც წვენებით ვაჭრობის!  
ყადრი იცოდი ქეიფის, წითელი ღვინის მაჭრობის!  
კაბინეტს დაჰფოფინებდი, იჯექი მოკალათებით,  
მოჰქონდათ ნაირ-ნაირი გოდრებით, ხან — კალათებით!  
საიდან? გეტყვი მარტივად, უბრალო მათემატიკით:  
წვენები მიგქონდა-მოგქონდათ კასრით, ცისტერნით, ხან —

ტიკით!

ხან წყალს ურევდით, ზოგჯერ კი ატრიალებდით მარტო ფულს,  
რაჭულს ეძახდით კახურს და იმერულს კიდევ — მარტყოფულს!  
გაყოფით ჰყოფდით იოლად (არც გქონდათ, ალბათ, ცილობა),  
წვენებმა თვითონ „დაგახჩვენს“! შევირცხვით გვარიშვილობა!..

\* \* \*

„ჩემს“ შაქროს დიდი სალამი იმ პაპისეულ ოდაში!  
შენ აჰყევ „ხალხის“ ფეხის ხმას, ერთხელ რომ იყვენ მოდაში!  
მასწავლებლობდი, „მსჯელობდი“ მათემატიკურ საგნებით,  
ფულსაც იხვეჭდი ნელ-ნელა, ცოტა მოსუსტო „ბაღნებით“!  
გაიგეს, ატყდა ყაყანი, საქვეყნოდ გამოგატყენეს,  
გაზეთშიც, ტელევიზორშიც შენი სიფათი გვაჩვენეს!..

\* \* \*

ბიკენტის მოგესალმებო საბურთალოდან ლოტკინზე!  
გალაღებული მღერისხარ, სულ ნაირ-ნაირ მოტივზე!  
სამსახური გაქვს, ამოწმებ ბინებზე ელამრიცხველებს,

ათასგვარ ხრიკებს მიმართავ, ეშმაკობ, ველარ ისვენებ!  
სუყველამ ვიცით, მრიცხველს რომ ლუქი მოჰყვება ქარხნიდან,  
ვერაფრით შიგ ვერ „შეძვრები“, ვერც იმ მხრიდან და ამ  
მხრიდან,

შენ მიხვალ, კაცო, ვგიჟდები: გახსნი საქვეყნოდ  
„პლომბირებს“,

ჩამოჰყრი, გაჰყოფ, გამოჰყოფ, ჯიბეს ფულს „დააპრობინებ“.  
მერე წვრილ მავთულს გაუყრი, ისევ „შეახვევ“, „შეფუთავ“,  
დინჯად გაივლი ქუჩაში (მხრებიც გიმშვენებს „მეფურ“ თავს!)  
მაგრამ დრო დადგა, მრიცხველთა არ დაგიმადლეს „ქველობა“:  
„სადაც ჯერ არსო“, იქ მიხვალ! ცუდია ცუდი ხელობა!

\* \* \*

მე კი გახლავართ, ბიჭებო, სახელგანთქმული ხარატი!..  
და ჩემი პროფესიისთვის არც მიფიქრია ლალატი!  
თქვენ კი, ლაჩრებო, — ძუკუ ხარ, ევტიხი ხარ თუ ნიკანდრო,  
შაქრო, თედო თუ, ვინცა ხარ, — ეგ როგორ უნდა იკადროთ?!  
არა, არ შეგრჩათ! დღეს ჩვენში ვის შერჩენია მრუდობა,  
უპატიოსნოდ ცხოვრება, ძარცვა, ხვეჭა და ქურდობა?!

ვაჟა ჩორღელი

ნახ. ა. კანდელაკისა



თენიწი ბუნების

თენიწი, მიიღე ვ ედ ევა გვერე უკრის ნათობი...

დაბით გონიერების

მდიდრი თაღი გონიერი, რომ დავაზე, ან ანაკი...

ბარბ გონიერების

არა ბე მ ახლებელი, არც იტყუნე მთარგმნელი...

ლორე გონიერების

შუა-შუა, შარა-შარა, ტუნ-ტუნ, ჩქარა-ჩქარა...

თბილისის დინამოლახს

გულს წე გაიტებით — ვიხიო, ვაჭებით — წიხი...

ლიანა დოლიმის

ჩააბარაბი რაიონში, სუფის ვაძე, შაბლოში...

რამაზ თამაშების

რამაზ იტყვის ხაღბს, მე რომ შენ შეხვებხარ...

სახალწლო სალალობო სტრიქონები

რამაზ ინანიშვილს

იდუმალ პოეზიაში დღინაგა შენი მერაჩი...

გიორგინიშვილს

გურამის რაიონის სოფელ ქაჯელ ზემოხედიან...

ბარბ კანაბალიანს

ხივას სახლი არაბის ფარხაზის არაბის არ დარისი...

ზურაბ კანაბაძეს

რომლან ჩახლე, იხილე ქართული სიტყვის სიღრმე...

თიორეის კრავალოზიშვილს, რამაზ ჭიბუხს

ორ ლაღურად დარჯის, ვაიფე, ვაზა-ხეხებით...

ვოთა დოლიმის

მართლად ლობი, — ღობეშია ვი, — სახარული ვასლე ვილი...

რამაზ ლლიძის

ღმერთი იყის ვიდრეობ შენს მუსიკას ზენას...

ოთარ ლომიძის

სიყოლიოს რისის ვმისა, — მეტადეო ოთარ ლომიძის...

ოთარ მამუროძის

წილე მამუროძის ქვაბად, ვიფარე მამუროძის...

რამაზ მერვიშვილს

მეშინია, არ გამოჩნეს მე რამაზ — შევადე ჩვენი...

ოთარ პაპაიორის

იმაზე წესს ნაღდი მურხადა-ქრტიკისი პაპიორა, —

მეირ ხახხაძის

მე პირველის ვადახახაძე ვაღვრის ვეირ ხახხაძის...

ასოროს სალუქვაძის

სული ამბიერად ვერის უხანგში სპირიტუალისი...

გიორგი ხალუქაძის

პარანახე პოეზიას შენ არჩიე პოეზიის გამწვევის...

ელიზბარა უშიშვლის

ხარ მინიერა მურხალო, სხვის მახვილ ერის...

თამაზ ჩხინაძეს

მე რაღბს, მთარგმნელს და მესტერს — მადლობას ვაჭი...

გიორგინიშვილს

მუღბისათი მიუღწეს ტიკლეს მე მისი ლექსის სტრიქონი...

დაბით ვარდიანს

მიამქვს დასაზერებლად, არ უტყვი მ მე ვ ან დ რ ი ს...

გიორგი ვარდიანს

ბრწვენივალ პოეტს — ხახვაფი — ლექსი ვაჭე ვაჭეს...

დაბით ხახხაძის

დღე ახარინომს, დღე ერისკაცს — აჭეს სტრიქონს...

ზაურ ბოლქვაძის

ნახ. შ. ლინიანის



სუსტაქორ



სუსტაქორ

რაქიონისი რიკა

დავიღამე

სკოლიდან რომ დავბრუნდები, ასე მეტყვის ტბილი ბები...

მეფე-ცეცა, მეფე-ხატვა, სიმღერა და ტანჯარეზი...

ანდა, აღარ თენდებოდას, ასე ჩქარა, ასე მალე!

მომარბის პურობი



მესაუბრისა მშობლიურ სოფელში


ჩემივე პატრიარქისა ლიტერატორა ამას წინათ, მშავაყვინან...

ესკურსიამბოლო პანო ცინცაძე

საშობაო მიგონებები

კავშირულსტასა საზოგადოებრივობაში მიმუ...

არავიდ ღვინოწიკაშვილის ვალსა ცეკუნების საბოთი...



სუსტაქორ

„მუხარბის“ მინიწილე — 315-316

# ჭრელო კეკელია!..

(ნახესხები სიუჟეტი)

— მომეცით ხურდა! — იკვილა არისტომ.

ნოქარი უხმოდ დაეღრიჯა...

— რა ნაცნობის ნაცნობის მკვდარზე მისული კაცივით იქცევი?! მომეცი ხურდა!

— საჩივრის წიგნზე რას იტყვი? — შეაწია ვიღაც მყიდველმა.

— შეეშვი! მაგის მეტი არავის არაფერი...

— ხალხის თვალში არაა ლამაზი, რომ მე, არისტოს, პირში დედამიწისოდენა ბურთი ჩამჩარონ!

არისტო იყო ამერიკა, მალაზიაში შესული მყიდველები — კოლუმბის მეზღვაურები.

არისტომ „კოლუმბის მეზღვაურები“ უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა: ტაქსის ტორპედოსავით შეასკდა.

— რატომ არ მუშაობს მრიცხველი?! — იყვირა არისტომ.

— არც ის საათი მუშაობს! — თითით აჩვენა მძღოლმა ბოძზე ჩამომხრჩვალ საათი.

— იმ საათის მუშაობაში მე ფულს არ მართმევენ! — გამწარდა არისტო.

— გულით გინდა? — ჰკითხა მძღოლმა და მრიცხველი ჩართო.

— რა ფულის საჭრელ მანქანასავით ისვრის მანეთიანებს?! ჩემდა დაუკითხვად რატომ აჯენ ხალხს?! ავტობუსით

მგზავრობა რომ მდომებოდა, წავიდოდი ავტობუსით! გააჩერე!

ტაქსის მძღოლმა უხმოდ ჩაიჯიბა ფული და მეტეორივით მოწყდა ადგილიდან.

— ხურდა, ხურდა! ტაქსი, ტაქსი!

არისტოს ხალხი შემოეხვია:

— შეგაგინათ?

— ჩემოდანი დაგრჩათ?

— ხურდა არ მომცა! — ინტერვიუ მისცა არისტომ.

— მელოჩნიკ! — შეუბღვირეს არისტოს.

— კაცო, ზოგს ინფარქტი გვაქვს გადატანილი!..

— ისედაც ცოტანი ვართ მამაკაცები!..

## II

— არ მინდა ხურდა, გქონდეთ! — არისტომ სიბრალულით მიუყარა ხურდა გამყიდველს.

— თქვენ, ალბათ, სხვა გზებით გაქვთ ნაშოვნი ფული! — უთხრა ერთმა გაბრაზებულმა მყიდველმა.

— შეეშვი! მაგისთანებია, საქმეს რომ აფუჭებენ!

ხალხი იმ დროს პირში დედამიწისოდენა ბურთს ჩრიდა არისტოს.

არისტო კოლუმბის მეზღვაური იყო, ხალხი კი — ამერიკა.

არისტომ დატოვა მალაზია. ტაქსი გააჩერა და რამდენიმე მგზავრი შეიპატიო.

— ნუ ჩართავთ მრიცხველს! არისტომ მძღოლს მხარზე ხელი დაარტყა.

მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— გააჩერე, ჩასვი!

— კიდევ გააჩერე!

— შენ ტაქსი ავტობუსში ხომ არ გეშლება?! — იწყინა მძღოლმა.

არისტო იღიმებოდა, მძღოლი კი ძელოტ თავს გაბრაზებული კაცის მუშტივით აქანავებდა.

— ხო, აქ გააჩერე! ხურდა არ გინდა, ძველი საბურავები გავქვს, კარბურატორიც გაასწორე, მანეთი გეკუთვნის და ხუთ მანეთს გაძლევ!

მძღოლი დედიშობილა კაცივით იყურებოდა. კარგა ხანს თვლებით ბურღავდა არისტოს, მერე მუქარით დაძრა ტაქსი. არისტოს ხალხი შემოეხვია:

— ხურდა მოთხოვეთ?

— გაგლანძლათ?

— ხურდა არ გამოვართვი! — ინტერვიუ მისცა არისტომ.

— გერგებოდა, რო?!


— კაცო, ზოგს ინფარქტი გვაქვს გადატანილი!

— ისედაც ცოტანი ვართ მამაკაცები!

არისტო ირონიანარევი ღიმილით გაეცალა იქაურობას.

ავთანდილ აღისაი

ნახ. მ. აბაშიძისა



მმართველის მისაღები

— ძვირფასო მეგობრებო! ვთხოვთ პატივცემულ მიხეილს, უხელმძღვანელოს ჩვენს სუფრას!

— თამადას გაუმარჯოს! აბა, შენ იცი, ჩართე, თუ ძმა ხარ!

— ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, დაბადების დღე მივულოცო ჩვენს ძვირფას მშვენიერებას, ლამაზსა და უბერებელ ღიანას!

— ოჰო! ჰო!.. ჰო!.. ბატივით არ დააქვს ფეხები?!

— განძრევა ეზარება!

— ვაი, შენს პატრონს, უბედურს!

— სარგადაყლაპულივით არ დადის?!

— ლეშია, აღამიანი კი არა!

— პატივცემულო თამადა! ეს გოჭის თავი თქვენ გეკუთვნით! — მოკრძალებით წარმოსთქვა დიასახლისმა და პირში ბოლოკაჩრილი გოჭის თავი თამადას დაუდგა ცხვირწინ.

— არ გვინდა, ქალბატონო! სუფრის ბოლოს დადეთ, თუ შეიძლება, და ცოტა ხნით შეწყვიტეთ სიარული!

— კი, ბატონო!

— უყურეთ! უყურეთ! ჩოჩორივით არ შეტრიალდა ეს უბედური?!

— მორიგ სადღეგრძელოთი მინდა დღეგრძელობა გუსურვო...

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! არ გეზარება?!

— აბა, რა ვქნა?!

— პირი მოკუმე და ისე ილაპარაკე!

— არ დავლიოთ?

— დალიე, მაგრამ უსადღეგრძელოდ! წრუპვით ნუ სვამ!

— ნახე, როგორი ქოშინი აუტყდა!

# ღიანას დაბადების დღეზე

რეგმატული ხუთვა ხომ არა აქვს შეყრილი მაგ საცოდავს?!

— ჰოი, შენ ჩემო თეთრო ბატო, — წამოიწყო მოხუცებულმა ისიდორემ და ყელი მოიღერა.

— ბატი არა, ჭუკი! რაღა დროს ბატია, პატივცემულო!

— აბა, რა ვიმღეროთ?

— ინდაურის არია ოპერა „დაპატიჟებული სტუმრებიდან“!


— ჰო!.. ჰო!.. იმღერეთ, იმღერეთ, სამღერლადა გვაქვს სწორედ საქმე!

— აპაა! წავიდა, წავიდა, ეგრე, ეგრე! მიდი, ჭიჭიკია, მიდი, რაღას უყურებ, შე დაფხვილო?! მოუქნიე ფეხი, მოუქნიე! აი, ასე!

მაგიდის ფეხმა ჭახანი მოიღო და ნაირნაირი საჭმელი დომხალივით აირია ერთმანეთში.

— აფსუს, რა თამაში წავაგეთ! გამორთე, მიხო, ტელევიზორი! — ჩალიაპარაკა საცივში ამოგანგულმა მელნტიმ და მზესუმზირის ზეთსა და ბაჟეში ამოსვრილ 200-მანეთიან კოსტუმზე დაიხედა.

ვალერიან მამუკლაშვილი



— არა მგონია, ამის სახლში მომგანას თამაშობდნენ!

### წერილებს გვფერხვ

თბილისის პირველი მაისის რაიონის დიღმის მაისიის მესამე კვარტალის მეცხრე კორპუსის მცხოვრებნი ცხრაგზის საჩივარს ვწერთ ბინის გათბობის შესახებ, მაგრამ არ იქნა და არ გათბა ჩვენი ბინები. იქნებ ახალ 1978 წელს მაინც გვეღირსოს კეთილმოწყობილი ბინების გათბობა? გთხოვთ, გამოგვეხმაროთ!

ბაღის რაიონის სოფ. თავილონის მცხოვრებნი ბნელში ვზივართ და მზის ამოსვლას ველით. სხვა განათება ჩვენთვის არ არსებობს. მიზეზი კი ელექტროგაყვანილობაა, რომელიც დაძველდა და საჭიროებს გამოცვლას. ახალი ბოძები უკვე დაყენებულია, ხოლო მათელები ძველზეა დარჩენილი და ძველი გიტარის სიმებივითა ჩამოკიდებული.

სიღნაღის რაიონის სოფ. ასანურიდან რაიონის ცენტრში ჩავ-

დივართ ახალი კინოსურათის სანახავად. ჩვენი კინოთეატრი არ გაგვაჩნია. სურვილი და მოთხოვნილება გაგვეზარდა, კულტმომსახურება კი ვერ გვაკმაყოფილებს.

ზითაშვილიან სოფ. ჩინაუღლი 3 კმ-ზეა დაშორებული, მაგრამ იქ მისვლას, უგზობობის გამო, უფრო დიდი დრო სჭირდება, ვიდრე ქუთაისიდან ჭიათურაში ჩასვლას. იქნებ გვეღირსოს ჩვენს სოფელში ავტობუსის ხილევა?

გორის რაიონის სოფ. ქვერეში ავტობუსი კი დადის, მაგრამ ავტობუსიდან რომ ჩამოვდივართ, ჩვენ ვეღარ დავდივართ, ისე ვართ შიგ ჩაწყობილები, როგორც თევზი კონსერვის ყუთში. ღილებს შენარჩუნებაზე ხოპ ლაპარაკი ზედმეტია.

### უღლებრკალო

ვინც ახალი წლის დამეს ფრთამოტეხილ ინდაურს არ დაკლავს და მოლხენა ისე უნდა, უხარჯოდ, — არ დაკლავს და მოტეხილ ფრთაზე საფენს დაადებს, — იმ კაცს არ გაუმარჯოს!  
ვინც ბაზრიდან გამოდის, ექვსი გოჭი თან მოაქვს, მაგრამ მაინც ცხვირსა ჰყოფს სხვის ცარიელ ჩანთაში!  
ვინც სამსართულიან სახლში ჰყავდეს მდგმურები და ცოლ-შვილით ცხოვრობდეს თავის სახლის სარდაფში!  
იმ კაცს, ვინაც ნაცნობი ტაქსის რიგში დალანდოს, ჩაუჭროლოს მანქანი და სალაშიც არ მისცეს!  
იმ თამადას, რომელიც ადღერძელებს „სავარძლებს“ და დაღუპულ ბიჭების სხენება დაავიწყდეს!

### სადღებრკალო

ვინაც სწორს ამრუდებდეს, თვით მართალი არ იყოს, კაცის კარგი შემურდეს, ყვავს ადრიდეს ტოროლას!  
ვისაც სხვისი ამაგი ბოლოს აღარ ახსოვდეს დირექტორის მოყვანილს სურდეს დირექტორობა!  
ვინც პურს ჭამდეს და მაინც არ დალოცოს ხორბალი!  
ვინაც ყადრი არ იცის ქართულ მზიან ვაზისა!  
ვინც ოჯახში შევიდეს ისე, როგორც სტუმარი და მზაკვრული თვალებით სჭვრეტდეს დასახლისსა!  
ვისაც — ახალ წლის დამეს — შეეძლოს და არ სვამდეს!  
ვინც ეზოში დაბმული ჯოგის ძაღლი აუშვას!  
ვინც აიღოს პენსია მოსუცებულ დედისა და იმ ფულით სიდედრი აგარაკზე გაუშვას!

ოთარ მამფორია

1977 წლის ივლისში ჟურნალ „ნიანგის“ მე-13 ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „სტუმარს არაფერი გაუგია, მკითხველმა გავვიგოს“, სადაც გაკრიტიკებული იყო ზოგიერთი საზოგადოებრივი კვების მუშაკები. აღნიშნული კრიტიკულ-მამხილებელი წერილი კრიტიკულად განიხილა ორჯონიკიძის სახ. რაიონის საზოგადოების ტრესტმა და რედაქციას პასუხი გამოუგზავნა: „...1977 წლის 7 ივნისის № 151 ბრძანებით გაერთიანების შედეგად ვ. წულუკიძე ანალოგიური ხასიათის დანაშაულზე, კერძოდ მომხმარებლებზე გაცემული 6 მანეთი და 30 კაპიკის ღირებულების პროდუქტებში 8 მანეთი და 50 კაპიკის გადახდევინების, ე. ი. 2 მანეთი და 06 კაპიკით უდემეტად აღებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემასთან დაკავშირებით გადაყენებული სამუშაოდან... გაერთიანების გაშვებამ კაცობრივ თანამშრომელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის დედო დისციპლინარული სასჯელი — საყვედური“.

ასევე რედაქციამ პასუხი მიიღო მცხეთის რაიკავშირის ხელმძღვანელობიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ვაჭრობის წესების დარღვევისათვის მებუფეტე გ. მაჩაიძესა და დირექტორს დ. ტოგონიძეს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური და მებუფეტე დაქვეითებულია დაბალ თანამდებობაზე ერთი თვით.

„ნიანგი“ დარწმუნებულია, რომ ზოგიერთმა დაწესებულებამ თუ უწყებამ შეგნებულად წაუყრუა სამართლიან კრიტიკას და რედაქციას პასუხი არ გამოუგზავნა. ეს სამწუხაროა, ნიანგს მოთმინება ჰყოფნის და შეახსენებს მათ, რომ კრიტიკულ-მამხილებელ წერილში — „სტუმარს არაფერი გაუგია, მკითხველმა გავვიგოს“ — გარდა შემოაღნიშნულისა, ყურადღება იყო გამახვილებული: 1. თბილისის ზღვის მიმართულებით № 17 სამარშრუტო ავტობუსის კანტიკუნტად მოძრაობაზე, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში. 2. ცენტრალური სპორტული ბაზის შესასვლელთან მოცურავის ქანდაკების სიმახინჯეზე, მის უეგმოვნობაზე. 3. საქალაქო პლაჟისა და ზღვის შემოგარენის კეთილმოწყობლობაზე. 4. ნავეის გამქირავებელთა თვითნებობაზე. 5. საჩვენებელი რესტორნების ტრესტის რესტორან „იორის“ № 6 პავილიონის თანამშრომელთა ვაჭრობის წესების დარღვევაზე.

ნიანგს იმედო აქვს, რომ ახალ 1978 წელს ავტობუსი არა მარტო თბილისის ზღვის, არამედ ყველა მიმართულებით გრადიკით ივლის, განსაკუთრებით — ივლისის თვეში! უეგმოვნო ქანდაკებები თავის გზას მონახავენ! საქალაქო პლაჟი და ზღვის შემოგარენი კეთილმოწყობა! ნავეის გამქირავებლები ბილეთებს დადგენილ ფასში გაყიდონ! რესტორან „იორის“ № 6 ფილიალი და, საერთოდ, რესტორნები ვაჭრობის წესებს არ დაარღვევენ!  
წამყრუებლებს კი რედაქცია ყელ-ყურის სპეციალისტს გაუგზავნის მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

შესტაფონის რაიონის სოფ. აჯამეთიდან რედაქციაში გამოგზავნილ წერილში წერდნენ, რომ მათ სოფელში არის კარიერები, საიდანაც ეზიდებიან სამშენებლო მასალებს, მასალის გატანის დროს დეგება მტერის ბული.

შესტაფონის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა შეამოწმა აღნიშნული განცხადება და გვაცნობა, რომ ფაქტი სინამდვილეს შეეფერება: სოფელ აჯამეთში არის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ინერტული მასალების ორი კარიერი. სამანქანო გზა გადის დასახლებულ ადგილებში და წარმოქმნილი მტვერი ცხოვრების აუტანელ პირობებს უქმნის მოსახლეობას. მდგომარეობის გამოსწორებლად აუცილებელია გზის იმ მონაკვეთის მოასფალტება, რომელიც გადის დასახლებულ ადგილებში.

შესტაფონის რაისაბჭოს აღმასკომმა სთხოვა მშენებლობის სამინისტროს. უახლოეს ხანში უზრუნველყოს აღნიშნული გზის მოასფალტება.

თიანჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირიდან გვეწოდნენ: გავახარეს, წყალი გამოვიყვანეს, მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა, წყალსადენი მალევე გაფუჭდა.

თერჯოლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა შეამოწმა აღნიშნული საკითხი და გვიპასუხა, რომ სოფლის წყლით მომარაგების საქმეში შეფერხება გამოწვეულია სატუმბო სადგურის გაუმართავი მუშაობით.

რაისაბჭოს აღმასკომმა წინადადება მისცა კვახჭირის მეზობლებმა-მერქვეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციასა და გოდოგინის კოლმეურნეობის გამგეობას, მიიღონ ზომები სატუმბო სადგურის მუშაობის გამოსწორებლად.

ღუშეთის რ-ნის სოფ. მოწამოდან გვეწოდნენ ბარისახოს საფოსტო განყოფილებისა და შემხანველი სალაროს ცუდი მუშაობის შესახებ.

ღუშეთის რაიონის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომიდან გვატყობინებენ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ბარისახოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ბარისახოს ფოსტის გამგეს — ა. უთრუგაშვილს განყოფილებაში შრომის დისციპლინაზე კონტროლის დაუწესებლობისათვის მიეთითა. მიითითა მიეცა შემხანველი სალაროს გამგეს. — უ. არაბულსაც შეანაბრებინა ღუშეთი და მოკიდებულებისათვის. საფოსტო გზავნილებთან დაგვიანებით ჩაბარებისათვის ფოსტის დამტარებლებს გამოეცხადათ საყვედური. სატელეფონო კავშირის გაუმჯობესების მიზნით ღუშეთ-ბარისახოს სატელეფონო ხაზს უტარდება კაპიტალური რემონტი.

ლენინგორის რაიონის სოფელ ზაყორიდან რედაქციას წერდნენ მალაზის გამგე-გამყიდველ ი. სოკუროვას დანაშაულებრივ მოქმედებაზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს ლენინგორის რაიონულმა განყოფილებამ გვაცნობა, რომ წერილში მოტანილი ფაქტები დადასტურდა. შემოწმებისას ი. სოკუროვას აღმოაჩნდა დანაკლისი. მასალები გადაეცა ძიებას.



გრუღე სარკის ოთახი

მთ. რედაქტორის მოადგილე ზაურ გოლჭვაძე სარედაქციო კოლეჯია: ზ. ზაზაშვილი (მთ. რედაქტორი) ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლა, ზ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ზ. ნოზიანიძე, ზ. სიხარულიძე (პ/მ. მდიანი), ზ. ფირცხალავა, თ. ვალიძე

● გამომცემი რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● საბჭოთა და ნაშრომის უზონალი „ნინაში“, ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კვ. ც-ის გამომცემლობა, ● გადაეცა ასაწყობად 6/Х11-77 წ. ხელმოწერილი დასაბუქდად 11/1 78 წ. ქალაქის ზომა 70x1081/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. საარტიტულო-საგამომცემლო თაბაძი 1.7 ● საქართველოს კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეჯ. 3620 უე 00610 ტირ. 145.000 ● თბილისი, პრ. რუსთაველი № 42. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახტი თემის ავტორები: ნ. ბაიანი, ა. აფიანი, ზ. ფირცხალავა, მ. მჭედლოვილი, მ. დიმიტრიაძე, ა. ბაშინი, მ. მჭედლოვილი.

